

ბ ე ლ

Organ Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური საბჭოთა სპორტის ორგანიზაციის ორგანო

საქართველოს სსრ
სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების
კავშირისა და
პროფკავშირისა
საბჭოთა სპორტის
კური საბჭოს ორგანო

დუშინ დამთავრდა ნებისმიერი ვარჯიშები და გაირკვა როგორც აბსოლუტური ჩემპიონებისა და სხვა გამარჯვებულთა, ისე გუნდური ადგილების საკითხები. ისტატ ვაეთა შორის დიდი უპირატესობით, ღირსეულად მოიგო ჩემპიონატი ი. ბალიაურმა, რომელიც თავიდანვე დაწინაურდა და ფინალში არაერთხელ დაუთმო ლაიდრობა. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ იგი უახლოეს კონკურენტს უსწრებდა 1,25 ქულით. ნებისმიერ ვარჯიშებში სხვაობამ უკვე სამს(!) მიღწია და 111,9 ქულამ ი. ბალიაურს საქართველოს 1961 წლის ჩემპიონის წოდება მოუტანა მრავალჯერადი, ეს გარემო-

ება კიდევ ერთხელ და თვალსაჩინოდ ავლენს იმ ფაქტს, რომ შრომისმოყვარე, ბეჭითი და ნიჭიერი სპორტსმენი, სხეებისაგან განსხვავებით, მთელს სერიოზულობით მოეკიდა ჩემპიონატისათვის სამზადისს და მასზე დაყრდნობა სავსებით შეიძლება საკავშირო პირველობაზე. მდგომარეობა გამოასწორა რ. პეტრენავამ. ფინალში მან გაღაუსწრო რამდენიმე მეტოქეს და 108,9 ქულით მოიპოვა მეორე ადგილი. მესამე ადგილზე გამოვიდა ა. ფარულავა — 108,5. არ შეიძლება არ აღინიშნოს ახალგაზრდა, მზარდი ტანმოვარჯიშის — ნ. ფალანდიშვილის სტაბილური შედეგები. მან უკვე მესამე შეჯიბრებაზე შედიხედ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა, რაც საქმარისზე მეტია ამ წოდების მისანიჭებლად.

ქალთა შორის კვლავ გაგვახარა ა. ჩანუყაშვილი, რომლის ოსტატობის ყოველდღიური ზრდა, კეთილსინდისიერი მეშობა თავის თავზე, უცილობელ ფაქტს წარმოადგენს. და აი, ამის ლოგიკური შედეგიც — ახალგაზრდა სპორტსმენი პირველად გახდა რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონი, დააგროვა რა სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების ქაში 74,1 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა მ. ცნობლაძე — 72,9 ქულა, მესამეზე ე. ბენიძე — 72,35 ქულა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ოსტატი ქალები გაცილებით უფრო უკეთ წარმოსდგნენ ნებისმიერ ვარჯიშში, ვიდრე სავალდებულოში.

ამრიგად, დამთავრდა ასპარეზობის ძირითადი ნაწილი და გამოვლინდნენ ექვეყნელები, რომლებიც ჩემპიონობის წოდებებს გაითამაშებენ ცალკეულ ტანვარჯიშულ იარაღებზე. რა შეიძლება ითქვას ჩვენი სპორტსმენების — რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატების მომზადებულობის შესახებ?

ძირითადად, ერთი რამ: საკავშირო ჩემპიონატამდე დარჩენილ ერთ თვეში საერთო მაქსიმალური მზადება, თავადებული წვრთნა, რათა ყველაფერი წესრიგში ჩადგეს და გამოსწორებულ იქნას ხარვეზები, რომლებზეც ადრე გვქონდა ლაპარაკი. სპორტსმენებსა და მათს მწვრთნელებს აუცილებლად უნდა ახსოვდეთ დიდი და საპატიო პასუხისმგებლობა, რომლითაც ისინი უნ-

სპორტული ენციკლოპედია


გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტი“ აზრადებს გამოსაქვეყნებლად ფიზკულტურისა და სპორტის ენციკლოპედიურ ლექსიკონს სამ-

ტომად. I ტომი გამოვა მიმდინარე წლის დეკემბერში.

ლექსიკონი მოიცავს ფიზკულტურისა და სპორტის თითქმის ყველა საკითხს. გარდა იმისა, რომ ლექსიკონში შევა სპორტის ყველა სახეობის აღწერა, რეკორდები, ისტორია, ფართო ადგილი დაეთმობა ზავშეგ-

თან მეშობას, ხანდაზმულთა სპორტს, მოძვე რესპუბლიკების სპორტულ წარსულსა და აწმყოს, სპორტის ეროვნულ სახეობებს და სხვ.

საბჭოთა კავშირში ფიზკულტურისა და სპორტის ენციკლოპედიური ლექსიკონი გამოდის პირველად.



დიდი გამოცდის წინ

საქართველოს 1961 წლის პირად-კუნდური პირველობა სპორტულ განვარჯიშში

და წარსდგნენ საკავშირო პირველობაზე და დიციან რესპუბლიკის სპორტული პრესტიჟი.

ერთი შენიშვნა: ჩვენ ოსტატები ნებისმიერ ვარჯიშებში დასჯერდნენ მინიმალურ საკლასიფიკაციო მოთხოვნებს. ეს, ერთის შეხედვით, თითქმის ტაქტიკურად გამართლებულია — რად იტებონ თავი სიძნელეებზე, რომლებსაც არაფერ თხოვს? მაგრამ, თუ საკითხს პერსპექტივაში განვიხილავთ, ეს ტაქტიკა ერთობ შეზღუდულია, არაშორსმჭვრეტელი აღმოჩნდება. ჩერ ერთი, საკლასიფიკაციო მოთხოვნები ლამის დღით-დღე იზრდება და ჩვენც მხოლოდ დღეგადღე დღეზე არ უნდა ვფიქრობდეთ.

ამას გარდა, დრო დაღა ჩვენს ოსტატებს მოეთხოვოთ უფრო მეტი რამ, ვიდრე საპროგრამო

ვარჯიშების ჩვეულებრივი „ჩასათვლელო“ შესრულება, სახელდობრ — ქართული ტანვარჯიშის სახელოვანი ტრადიციების აღორძინება. სპორტსმენთა გამოსვლაში უნდა იგრძნობოდეს, რომ ისინი თავისი „ხელწერის“ მქონე, სპეციფიკური, ქართული სკოლის წარმომადგენლები არიან; მათ ვარჯიშებში მეტი სილაზახე, მეტი ტემპერამენტი, მეტი სამხრეთული უნდა იყოს. პროგრამული მოთხოვნების შესრულებასთან ერთად სპორტსმენები უნდა ფიქრობდნენ ვარჯიშების ესთეტიკურ მხარეზეც — სირთულეზე ეფექტურობასა და მოხდენილობასთან შერწყმით. ჩვენ უკვე წამოგვეჩია ისეთი ახალგაზრდობა და გვეყავს ისეთი ძალები, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი მხრებით ახადონ ეს კეთილშობილური საქმე.

ნ. ბახუბაშვილი,
სსრკ დამსახურებული მწვრთნელი,
შ. ვადაშვილი.

ქვემოთ მოგვყავს მრავალქილის სხვა ტექნიკური შედეგები:

მეორე თანრიგისნებში — ქალთა შორის: 1. მ. დავითაშვილი — 81,5 ქულა, 2. ზ. იაკოვ — 79,95, 3. ლ. ლაბტიევა — 79,7; ვაეთა შორის: 1. რ. გაროვსკი (სამტრედია) — 108,4, 2. პ. ქვარცხავა (თბილისი) — 106,1, 3. ნ. ჩიხლაძე (თბილისი) — 104,7. პირველთანრიგისნებში — ქალთა შორის: 1. გ. ნარსია (სოხუმი) — 71,6, 2. გ. ჩანთლაძე — 71,2, 3. ნ. ლომსაძე (ორივე თბილისი) — 70,6, ვაეთა შორის: 1. გ. გვლოვანი — 109,75, 2. თ. ჩიხლაძე — 108,75, 3. თ. შერვაშიძე (ყველა თბილისიდან) — 108,5.

გუნდური შედეგები ისილეთ შემდეგ ნომერში.
სურათში: ი. ბალიაური ორძელზე ვარჯიშის დროს.

ლიდერობს ბაბა სი

იალტაში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ასუფრიან შაშაში, რომელშიც მონაწილეობს საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, პოლანდიის, სენეგალის 14 სპორტსმენი.

ტურნირში უკვე გათამაშდა ათი ტური, საინტერესო გამოდგა სწორედ ბოლო, X ტური, აფრიკელი გროსმაისტერი ბაბა სი განსაცდელში ჩაიარა ლენინგრადელ ემიფანოვთან პარტიაში. ადრე ემიფანოვმა დაამარცხა ყველა უცხოელი მოშაშე, მაგრამ აფრიკელთან ვერ მიიღწია სასურველს. ბაბა სიმ პარტია გააყაიმა.

X ტურის შემდეგ წინ არიან გროსმაისტერი ბაბა სი (7 ქულა), საბჭოთა ოსტატები ანდრეიკო და გელერა (6,5 ქულა თვითუღეს).

სსრ კავშირის თასზე

გუშინ როსტოვში შედგა მეტად საინტერესო მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივ არმიელთა გუნდი და მოსკოვის „ტორპედო“ (მეოთხედიანილი).
გამარჯვა „ტორპედო“ — 3:2.

დავათსპრიით ქუქუნიანი ზღუდაები

უკანასკნელ ხანებში სპორტული საქმარის ერთ-ერთი დიდი მოვლენა იყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) კონგრესი, რომელიც ლონდონში მიმდინარეობდა. კონგრესის დაწყების რამდენიმე დღით ადრე მოხდა მეტად საშუალო ფაქტი. სპორტში კვლავ ჩაერვივნენ პოლიტიკოსები, ინგლისის ხელისუფლებამ ბონის კარნახით ვიზის მიცემაზე უარი უთხრეს გარს-ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტს ჰელმუტ რიდელს და კავშირის გენერალურ მდივანს ყურტ მიხალსკის, კონგრესის მონაწილე დელეგაციების უმრავლესობამ ამის გამო სასტიკი პროტესტი განაცხადა და მოითხოვა, რომ ფიფას კონგრესი შედგებოდა მოეწყო იმ ქვეყანაში, სადაც ყველა დელეგატს ჩასვლის უფლება ექნება. კონგრესმა გერმანიის ფეხბურთის კავშირის გაუფუხავნა დეპუმა, რომელშიც მან დიდი მწუხარება გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო.

ლონდონის კონგრესმა განიხილა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საფეხბურთო კავშირის საერთაშორისო ფედერაციიდან გაორცილების შესახებ. დელეგატებმა ილაპარაკეს იმ რასობრივი ზღუდეების შესახებ, რომლებიც არის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ჯერ კიდევ გასული წლის კონგრესზე ფიფამ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის კავშირის მისცეს ერთი წლის ვადა ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

და აი გავიდა ერთი წელი და არაფერი ცვლილება არ მოხდარა, უფრო მეტიც, რასისტები უფრო გათავხებდნენ, ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ ამას წინათ ქალაქ პორტ-ელიზაბეტში მათ ქვები ესროლეს აფრიკელთა ფეხბურთის გუნდს.

წოდებათა მინიშნა

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა სსრკ დამსახურებული მწვრთნელის წოდება (კალაბურთში) მიანიჭა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა სკოლის უფროსს გრიგოლ კაბიტონის-მე მუენარეიას.

საბჭოთა მოჭიდავეები თურქეთში

„დიდი ხუთეულის წევრთა შეხვედრა უმაღლეს დონეზე“ — ახე უწოდა უცხოეთის პრესამ საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მოჭიდავეთა აშხანატურ მატჩებს, რომელიც 17 ოქტომბერს დაიწება ანკარაში და გაგრძელდება 19 ოქტომბერს ადანში, ხოლო 21 ოქტომბერს სტამბოლში. თავისუფალი ქილაობის ამ ორი ბრწყინვალე წარმომადგენლის შეხვედრა უდიდეს ინტერესს იწვევს სპორტულ სამყაროში. მატჩში ბევრია.

ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირი ამ საპასუხისმგებლო მატჩში გამოდის შეცდელი, ახალგაზრდული შეხადგენლობით. და შემდეგ ქილაობის ახალი წესები ახალ პერსპექტივებს შლის მსოფლიოს უძლიერეს მოჭიდავეთა წინაშე. და ყველაფერ აისხნავს შეძლებენ თურქეთის სპორ-

ტის მოყვარულები — ისინი, ვისთვისაც ქილაობა პირველი ნოჰერი სპორტია. საბჭოთა მოჭიდავეების ჩახვლით გამოწვეულ უეიოტაუს თურქეთში, ვერც ერთი ხელსაწყო ვერ აღნუსხავს. ქვეყანა ამ დიდი სპორტული მოვლენით ცხოვრობს.

ვინ დიციავს საბჭოთა ნაკრების ღირსებას ამ საინტერესო და მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრაში? უმჩატეს წონში გუნდმა ადგილი ანდო ღირსეულთა შორის აღრიეულს, მსოფლიოს ჩემპიონს ა. დიღევეს. მჩატე წონაში გამოვა საკავშირო პირველობის პრიზიორი (მეორე ადგილი) ი. ლოსიკი. მას, როგორც ჩანს, მოუხდება ბრძოლა ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონის პ. აკბახის წინააღმდეგ.

ქვემსუბუქ წონაში წლების მანძილზე თურქეთის გუნდის ღირსე-

ბას იციავდა შესანიშნავი ათლეტი, მ. დალიხანლი. მას სამართლიანად თვლიდნენ ყველა დროის უძლიერეს მოჭიდავედ. გამოვა თუ არა იგი ამჯერად, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ახალგაზრდა მხანაყაღელ ოსტატს ს. გაიფვს, როგორც ჩანს, მაინც ძლიერ მეტოქესთან ექნება საქმე. მსუბუქ წონაში საბჭოთა გუნდის ღირსებას დაიცავს არა ვ. სინიავსკი, არამედ რ. ჯაშაძე.

ქვესაშუალო წონაში გამოვა საკავშირო პირველობის მეოთხე ნომერი გ. საღარაძე, საშუალოში — ახალგაზრდა მინსკელი ოსტატი ვ. დეტუნნი. მხოლოდ ქვემომე წონაში მკავს ჩვენს გუნდს გამოცდილი მოჭიდავე — ესაა ბ. გურევიჩი. მიძიე წონაში, თურქეთის უძლიერესი ფალანგების წინააღმდეგ იბრძილებს საკავშირო პირველობის მესამე პრიზიორი, ა. ივანიკი.

ქვეყნურად რთულ ახვლებში შედის მწვერვალთა დაპყრობა შესაძლო ურთულესი გზებით. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ჩატინზე ასვლა უშუალოდ პლატოდან და ჩრდილოეთის კედლით. პირველი უმარტივესი მარშრუტია, ამ გზით მწვერვალზე ასულა ასობით მთავრდები. ჩატინის ჩრდილოეთ კედელი კი დაუძლეველი მხოლოდ ერთეულებს, მაგრამ ჩატინი სამხრეთიდან უფრო ზედაა, იმდენად რთული და მიუწვდომელი, რომ ცდაც კი არ ყოფილა მასზე ასვლისა. ჩვენ წლივანდელ ობიექტსაც სწორედ ჩატინი ჰქვია, მარშრუტს კი — მისი სამხრეთ კედელი.

ახალი დღე ამინდიანი გამოდგა. ხალხში შემდეგ საჭურველს მორგებას და ბარგის ჩალაგებას გადაუყვით. მეორე დღეს გავედით ილია ყავლაშვილი და მე, კიდევ ერთი დღის შემდეგ გიორგი მანაგაძე და ვასო თევდორაშვილი წამოვლენ. დღის ორ საათზე გავჩერდით, მეორე დღეს, დილით ისევ გავყვით გზას. აი ჩვენი მწვერვალის წელს ზევით ნისლია გახვეული. იმ მწვერვალზე შორენის ქედზე, ჩალათის მუივარს რომ მიხუტება, გაიშლება ჩვენი ბანაკი და იქიდან დაიწყება იერიში.

აი რა ყოფილა ჩატინი სამხრეთიდან! — თოვლისა და ყინულის ნიაგარი! რა ძალა აკავებს? რატომ არ დაიძვრება და არ წაღიკავს ყველაფერს? გამოჩნდა ჩატინის სამხრეთი მწვერვალის თოვლის კარნიზი დაწყება არშადა, კედელი თითქმის ვერტიკალურია.

12 საათზე უკან შევყვით თოვლიან ფერდს. საათნახევარი დაგვიჭირდა ძველ ნაბინავარამდე. სამ საათზე ხეობაში ჩვენი ქარავანი გამოჩნდა. ამოვიდნენ გიორგი, ვასო და ოთხი დამხმარე — ადგილობრივი მთავრდები. გადაწყდა: ილო და მე ჩატინის ძირას, მუივარის მეორე ნაპირზე გადავიტანდით ბარგს და მოვწყობდით საიერიშო ბანაკს, ვასო და გიორგი კი ბარგს გადმოვიტანდნენ.

ნახევარი საათი მოვანდომეთ მუივარის გადაჭრას. ნელა ვყარავთ ხიმალს. მალე ჩატინის ძირას საიერიშო წითელი კარავიც დაიდგა.

ნაშუალამდე გაავდრდა. უმოწყალოდ გვიშენს ხეტყვას. რამდენიმე წუთში არც-მარც გადაიქრება. 4 საათზე, როგორც იქნა, გადაილო. კარგის ადგილები მოვასწორეთ. ხალხის ჩვენებაც გამოჩნდნენ.

10 აგვისტოს დავტოვეთ ბანაკი. ვაპირებთ მხოლოდ ყინულვარდნილამდე მივხლას. დამის 12 საათზე, როცა ყველაფერს ყინვა შებორკავს, დავიწყებთ იერიშს. ყინულის კანიონი გათენებამდე უნდა გავიაროთ, რადაც არ უნდა დაგვიკდეს. ძნელია ღამე სიარული, მითუმეტეს ასეთ რთულ ადგილებში. სპეციალური სამაგრიტო შუბლები ვიკეთებთ ჩინურ ფანრებს. პირველ ბანაკამდე წამოგვყვანს დამხმარენიც. მერე კი ხუთნაღა დავრჩით: ილია ყავლაშვილი, სულიკო ხაბეიშვილი, ვასო თევდორაშვილი, გიორგი მანაგაძე, შოთა შირიანაშვილი. ტვირთი ხუთ 10-12 კილოგრამს იწონის. წაღებულია მხოლოდ მინიმუმი, საძილე ტომრებიც კი დავტოვეთ. ზუსტად 12 საათზე გავედით, ავიარეთ აღმართი, გავედით სამხრეთ მწვერვალის აღმოსავლეთ თოვლიან კალთებზე. წინ ილია მიდის. გეზი იმ კედლის კონცხზე გვაქვს, რომელიც გეზის ქიმივით შემოჭრილია ყინულის ტალღებში, სწორედ იქიდან იწყება ვიწრო კანიონი მუივარით, რომელიც ღამე უნდა გავიაროთ. ორი საათია შიგ-

დასავლეთი ქვეყნი



ღვართ. მალე „გეზის ქიმიც“ მივადწიეთ და ნაშალ კლდეებზე გადავიდით. აქ პატარა მოედანზე დაბანაკდით. ახლა კანიონში შესვლა ყოველად დაუშვებელია. ასე რომ, დღეს კიდევ ერთხელ შევიძლია „ვიქიფოთ“. სადილის მოლოდინში კიდევ ერთხელ გავედით დასავლეთად. 100 მეტრამდე ავიწიეთ კლდეებზე.

11 აგვისტო. წუხელ ორ საათზე გამოვედით. ცა შავია, თუმცა უღრუბლო. აღაგ-აღაგ ყინულს თოვლი სცვლის და ტემპიც მატულობს. მხოლოდ თოვის სრიალით შეიგრძნობ მეგობარს: ჭერ კიდევ მიდის. აი შეჩერდა. გზას არჩევს, თოვი ისევ სრიალებს ხელებში, მასხადამე წავიდა, გზა არის! წრიაბები ესობიან ყინულის ზედაპირს. ასე მივალწიეთ კანიონის შუა ნაწილს. აქედან იწყება მეტად ძნელი ადგილები. აქ შეიძლება ასვლა. წერაყინით კიბეები უნდა გაკეთდეს. „მზარე შეგისვამ“, — ამოხს სულიკო. ილია ყველაზე მაღალია და მსუბუქი. ნათდება. ილო აძვრა. შემდეგ — ისევ ყინულის ფერდი. ხაფებურების დაშქანცველი ჭრა. წინ რიგრიგობით გავდივართ. ყინულის ნატებებმა მოუბშირეს ვარდნას, ვჩქარობთ. — სანამ შუე ჩვენთან ჩამოიხედავს, მოხახვევს უნდა მივალწიოთ. შუე კი გვეწყება, მოგვყვება უკან. კვლავ ვიბრძვით ყინულთან, თოვლთან, შუესთან. ქალათის მუივარი შუის სხივებში ლაბლაბებს.


აღმართი დაუსრულებელია. შაერი უცნაურად გამჟვრივალე. დამბულბობა გაქვია. არის რაღაც არარეალური გარემოს შეგრძნება-

ში... მივიწევთ წინ. ვუახლოვდებით უკანასკნელ ყინულის ზღუდეს. აქ გადაწყდება დღევანდელი წარმატების ბედი! კანიონის უკანასკნელი ბასტიონი. ყინულის პალოებით იჭედება გზა. 8 საათია. შუემ უკვე მოაღწია ჩვენამდე. ზვავი სამხრეთ მწვერვალისა! ერთ წამს ყველაფერი შეჩერდა, გაიყინა. დაუსრულებელი მოლოდინი... ხაჭირი აუო ხასწარავოდ რაღაც გადაწყვეტი-

ლების მიღება. ცოც ყინულს ავკა-რით. შემდეგ კი წინ, ისევ წინ, რაც შეიძლება სწრაფად! ფსიქოლოგიურ ბრძოლა მოვიგეთ. კარავი პირდაპირ ნაპირლზე ჩავდგით. მისი ზედაპირი საიმედო საცავია ქვებისა და ყინულის ნამტვრევებისაგან.

12 აგვისტო. ბუნება გვწყალობს. გავდივართ ქვემოთ, თავბრუდამხ-303 უფსკრულში იკარგება გუშინ გამოვლილი გზა. შუკვე თბილა. სწრაფად ვიღებთ სიმაღლეს. კონტრფორსი, რომლითაც ჩვენ ავღივართ, ციცაბოა. ორივე მხრიდან ძირს ეშვებიან დაკიდული მუივარები. კონტრფორსი ხუთ უფრო ვიწროვდება. კლდეები მაგარია და პალოები უღარუნით ესობა გრანიტის მასაში. პირველი კარნიზი. ხელებზე ჩამოკიდებულნი, უფსკრულზე ფეხების ქნევით, ტრავერსით გადავდივართ მარცხნივ, დანის პირივით ვიწრო კლდის თხემზე. მალე თოვლის თხემზეც გავედით, სოლო ზემოთ დაიწყო რთული უბნები. პირველი უშველებელი გრანიტის ფილა, მისი დახრილობა, მნ გრადუსს არ აღემატებოდა, მაგრამ დაძლევა მინც გაქირდა. რამდენიმე უშველავ ცდის შემდეგ მლაშებურებს მივმართეთ. დგებარ მეგობარის მხრებზე, ხელში კლდის სატეხი გიჭირავს და უკვყუნებ

ლებს მიღება. ცოც ყინულს ავკა-რით. შემდეგ კი წინ, ისევ წინ, რაც შეიძლება სწრაფად! ფსიქოლოგიურ ბრძოლა მოვიგეთ. კარავი პირდაპირ ნაპირლზე ჩავდგით. მისი ზედაპირი საიმედო საცავია ქვებისა და ყინულის ნამტვრევებისაგან.



გრანიტს. ნახევარი საათის კაკუნის შემდეგ 13 მილიმეტრის ხიგრძის ხერელი გაკეთებულია; თვითგამფართოვებელი ბალოს ჩარჭობა 2-3 წუთის საქმეა, ასე რამდენჯერმე განმეორდება, სანამ გზა არ შეიჭედება მთლიანად. ფილის გავლას 8 საათი შევწირეთ. მერე კი ხუთ ზევით და ზევით. 7 საათისათვის, როგორც იქნა, მივალწიეთ თოვლის ხარტუელს. სწორი ადგილის

მაგივრად ყინულის დაბრეცილი თხემი დაგვხვდა. სხვა გამოსავალი არ არის — ყინული უნდა გავტაროთ. მხოლოდ თვითმეტის ნაწივარზე მოვახერხეთ კარგის დადგმა. 13 აგვისტო. ცა ისევ უღრუბლოა. იწყება მარშრუტის ვერტიკალური ნაწილი. 400 მეტრისა! გვერდი კედელი. ნაშუალთა დაქვემდებარება.

15 აგვისტო. ორი ღამე კედელზე ჩამოკიდებულბება გავათენეთ. ამინდი ძველებურად გვწყალობს. ჩვენს ქვემოთ ორი კილომეტრის სიციბილეთა. მოვინახუთ თუ არა გასასვლელს? ზემოდან პირქუში კედლებში დაგვუბრებს. ამ კედლების თოვზე კი სამშვიდობო! ხელეშმა დაკარგეს გრძობიერება, თითქოს დედამიწის მიწა დ უ ლ ო ბ ა გაქვია. ყველაფერი ეს ასე არ წააგავს აქამდე განცდილს. მკაცრი სილამაზე გესალბუნება, გათრობს. რაღაც უჩვეულო გარემოცვაა, უჩვეულო სიჩუმე! თითქოს უურები გამოტენილია თოვლით. ცა უსაზღვროდ ღურჯია. დღის ხაში სათი იქნება. ძლივს გავდივართ რამდენიმე მეტრს მარჯვნივ. შემდეგ ისევ გლუფი კედელი უყვლანი ჩამოხლი ვართ ერთ გრძელ თოკში.

16 აგვისტო. დილის 4 საათზე ავიშალეთ, მწვერვალამდე ასიოდ მეტრი დავარა. უშუბის ბალიშზე ხალბი შევნიშნეთ, როგორც ჩანს უშუბზე გასასვლელად ეშვადებოდნენ. ჩვენც ვუახლოვდებით მწვერვალს. გზა, მართალია, რთულია, მაგრამ განვლილთან და განცდილთან შედარებით სახეირსო ხეივა-

ნია. 8 საათზე მწვერვალზე ვართ. 1954 წლის წერილი დაგვხვდა. „სპარტაკის“ ჭგუფი ჩატინზე ამოსულა ჩრდილოეთის კედლით. დიდხანს გავჩერდით მწვერვალზე. „უშუბზე ხალბია!“ — უვირის გიორგი. ალბათ ჩვენები არიან, დიმიტრი ობოლადის ჭგუფი. ჩვენც შეგვნიშნეს, ქართული სიტყვები ამოიტანა ნიაგმა მწვერვალზე.

მიზანი მიღწეულია. შ. შირიანაშვილი, სპორტის ოსტატი.

საქადრაკო ამბები

ბელგრადში საინტერესოდ მიმდინარეობს საერთაშორისო საქადრაკო ტურნირი, რომელშიც თამაშობს ბელგის ტურნირის ზოგიერთი მონაწილე და საბჭოთა გროსმაისტერი ე. ვასილკოვი.

V ტურის შემდეგ წინა ე. ვასილკოვი, რომელსაც 4,5 ქულა აქვს. იუგოსლაველ გროსმაისტერ ს. გოლიგორის 3,5 ქულა და ერთი გადაღებული პარტია აქვს.

ტაშკენტში, რიგასა და ხარკოვში გრძელდება საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა სპორტსაზო-გადობებს შორის.

ტაშკენტში IV ტურის შემდეგ ლიდრობენ „სპარტაკი“ და „ბურვესტნიკი“, რომლებიც დაუმარცხებლად მიიწვევენ წინ.

რიგაში ამდენივე ტურის შემდეგ წინ არის „დაუგავას“ კოლმპტივი, რომელმაც მოუგო „დინამოს“, „კრასნოე ზნამის“, „ვოლდის“. ლიდრის შეხვედრებში ჩაერთო ბლელიდან დაბრუნებული მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი მ. ტალია. ხარკოვში III ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში წინაა „ავან-გარდი“, ლიდერს უკან მიჰყვება საბჭოთა არმიის სპორტული კლუბის გუნდი.

ვარშავაში მსადრი ბროლოებით აღინიშნება საერთაშორისო საქადრაკო ტურნირი, რომელშიც ჩვენი ქვეყნიდან მონაწილეობს გროსმაისტერი ა. ტოლუში.

III ტურის შემდეგ წინ არიან ა. ტოლუში და გ. ფისტილი (ჩეხოსლოვაკია) — 2,5 ქულა თვითულის.

ვინ დაიმსახურებს ჯილდოებს

„დღეი ანგარიშის“ პრიზები

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირულმა დამატებამ „ფურცლები“ დააწესა გარდამავალი პრიზი გუნდისათვის, რომელიც „ა“ კლასის კოლექტივებს შორის მოიგებს ყველაზე მეტ მატჩს დიდი ანგარიშით (3 და მეტი ბურთის განსხვავებით). სადღეისოდ ამ პრიზისათვის შებრძოლ გუნდებს შორის ასეთი მდგომარეობაა:

1. „დინამო“ (თბილისი) —

მოსკოვის „ლოკომოტივთან“ — 4:0, ლენინგრადის „დინამოსთან“ — 3:0, რიგის „დაუგავასთან“ — 3:0, ვილნიუსის „სპარტაკთან“ — 5:0, ბაქოს „ნეფტაინთან“ — 3:0, ტაშკენტის „პასტაკორთან“ — 4:1 და 4:0, ცხკა-სთან — 3:0. ზურთების სხვაობა 29-1 = +28.

2. „ტორპედო“ (მოსკოვი) —

სტალინის „შესტორთან“ — 3:0, ლენინგრადის „დინამოსთან“ — 6:3, ბაქოს „ნეფტაინთან“ — 7:1, რიგის „დაუგავასთან“ — 5:0, ტაშკენტის „პასტაკორთან“ — 6:0, ცხკა-სთან — 3:0. სულ 30-4 = +26.

3. სპა (როსტოვი) —

ვილნიუსის „სპარტაკთან“ — 5:1, სტალინის „შესტორთან“ — 3:0, ვილნიუსის „ტრუდთან“ — 4:1, რიგის „დაუგავასთან“ — 6:1, ბაქოს „ნეფტაინთან“ — 5:1, ერევანის „სპარტაკთან“ — 5:2, სულ 28-6 = +22.

4. ცხკა — 6. ბაზარჯვანა

ტალინის „კალევთან“ — 4:0, ერევანის „სპარტაკთან“ — 4:1, ტაშკენტის „პასტაკორთან“ — 6:2,

მოსკოვის „დინამოსთან“ — 5:1, ალმა-ატის „კაირატთან“ — 4:1, მინსკის „ბელარუსთან“ — 3:0. სულ 26-5 = +21.

5. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — 5. ბაზარჯვანა

ალმა-ატის „კაირატთან“ — 5:1, ტალინის „კალევთან“ — 5:1, ლენინგრადის „ზენიტთან“ — 6:2, მინსკის „ბელარუსთან“ — 3:0, მოსკოვის „ლოკომოტივთან“ — 4:1. სულ 23-5 = +18.

6. „დინამო“ (კიევი) — 4. ბაზარჯვანა

ლენინგრადის „ზენიტთან“ — 3:0, ტალინის „კალევთან“ — 6:1 და 4:0, ალმა-ატის „კაირატთან“ — 5:1. სულ 18-2 = +16.

7. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 4. ბაზარჯვანა

ვილნიუსის „სპარტაკთან“ — 5:2, ვილნიუსის „ტრუდთან“ — 5:1, თბილისის „დინამოსთან“ — 5:0, ცხკა-სთან — 4:0. სულ 19-3 = +16.

8. „სპარტაკი“ (ერევანი) — 1. ბაზარჯვანა

სარკოვის „ვანგარდთან“ — 3:0.

„სენაპარტა“ სია

გაზეთ „ტრუდის“ რედაქციამ 1958 წლიდან დააწესა სპეციალური პრიზი „ა“ კლასის ფეხბურთელისათვის, რომელიც ყველაზე მეტ ბურთს გაიტანს მოწინააღმდეგეთა კარებში (პრიზი დაწესებულია პირველ ათეულში მყოფი გუნდებისათვის).

სადღეისოდ სსიპერთა შორის ასეთი მდგომარეობაა:

1-2. გ. კრასნოცი (სპარტაკორი, ტაშკენტი) — 20 ბურთი.

1-2. გ. გუზაროვი („ტორპედო“, მოსკოვი) — 20 ბურთი.

3. ვ. ვოროშილოვი („ლოკომოტივი“, მოსკოვი) — 18 ბურთი.

4. ა. შამიკინი (ცხკა) — 17 ბურთი.

5. ვ. კანვესკი („დინამო“, კიევი) — 16 ბურთი.

6. გ. ზუხინოვი („სპარტაკი“, მოსკოვი) — 15 ბურთი.

7. ზ. კალოვი („დინამო“, თბილისი) — 14 ბურთი.

8. ვ. სტრუჩნი (სკა, როსტოვი) — 13 ბურთი.

9. ვ. სოკოლოვი („ლოკომოტივი“, მოსკოვი) — 12 ბურთი.

ბ. ი. ფედოტოვის პრიზები

საბჭოთა არმიის ცენტრალურმა სპორტულმა კლუბმა დააწესა პრიზი გუნდისათვის, რომელიც ყველაზე მეტ ბურთს გაიტანს საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში.

პირველ ადგილზე აქვამდე მოსკოვის „ტორპედო“, რომელმაც 64 ბურთი გაიტანა.

მომდევნო ადგილებზე არიან:

2. ცხკა — 58 ბურთი.

3. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — 56 ბურთი.

4. „დინამო“ (კიევი) — 54 ბურთი.

5-6. „დინამო“ (თბილისი) — 30 ბურთი.

5-6. სკა (როსტოვი) — 30 ბურთი.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის „სოვეტსკი სპორტის“ და „ოგონიოვის“ პრიზები

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაწესებულია სპეციალური პრიზი. იგი გადაეცემა

გათამაშების ცხრილები
მდგომარეობა 15 ოქტომბრისათვის
შედეგები

„ლოკომოტივი“ (თბილისი)	29	19	7	3	56:23	45
„სპარტაკი“ (ლენინაჯანი)	29	16	7	6	56:25	39
„დინამო“ (სოვეტთა)	29	18	9	7	35:23	25
რ. ს. ი. (რიგა)	29	13	7	9	53:32	33
„ლოკომოტივი“ (გომელი)	28	18	7	8	26:24	33
„ხიმიკი“ (მოგილიოვი)	28	12	8	8	42:36	32
„დინამო“ (ბათუმი)	28	9	13	6	34:28	31
„პრ. ზნაშია“ (ვატუბსკი)	28	18	8	10	40:45	28
„ოიწა“ (ხიზუმი)	27	11	5	11	40:32	27
„პრინციპალი“ (ტირასპოლი)	28	9	6	13	36:47	24
„ნიხტრალი“ (ბენდერი)	29	8	8	13	21:49	24
ს. შ. (ტალინი)	29	7	8	14	32:50	22
„ზანაბა“ (კაუნახი)	29	9	3	17	30:42	21
ბ. ზივარდინი	28	6	9	13	26:43	21
„სულაზი“ (ლიეპაია)	28	6	8	14	32:43	20
„სპარტაკი“ (ბრესტი)	28	5	7	16	24:49	17

შედეგები რეპუბლიკათა 11 ზონა

„ტორპედო“ (კუთაისი)	28	21	1	6	47:20	43
„სპარტაკი“ (ყარაგანდა)	29	17	8	4	49:23	42
„მეტალურგი“ (რუსთავი)	27	16	6	5	44:31	38
„ნაირი“ (ერევანი)	28	16	5	7	54:35	37
„კოპატი-დანი“ (აშხაბადი)	29	16	4	9	49:39	36
„მეტალურგი“ (კიროვობადი)	29	15	3	11	41:43	33
„ალბა“ (ფრუნჯი)	29	13	4	12	45:46	30
„მეტალურგი“ (სტალინობადი)	29	11	7	11	45:35	29
„მეტალურგი“ (ჩიქენტი)	28	10	8	10	51:50	28
„მეტალი“ (სუმგაიტი)	28	10	7	11	36:41	27
„პაპირი“ (ლენინობადი)	30	9	4	17	42:53	22
„მეტალურგი“ (გამბული)	29	6	8	15	27:50	20
„დინამო“ (ხაბარუანდი)	29	6	6	17	36:74	18
„სპარტაკი“ (ფერგანა)	28	5	5	18	25:51	15

ჩემპიონატში მონაწილე კლუბს, რომელიც საუკეთესო შედეგს აჩვენებს ძირითად და სათადარიგო შემადგენლობათა გუნდების საერთო ჯამში.

ქურნალ „ოგონიოვის“ რედაქციამ დააწესა პრიზი 1961 წლის სეზონის საუკეთესო მეკარისათვის. „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციამ დააწესა პრიზი გ. წ. „სამართლიანი თამაშისათვის“. იგი გადაეცემა გუნდს, რომელსაც ყველაზე უფრო ნაკლები დარღვევები ექნება გათამაშებაში.

სამაგისტრო პრიზის მფლობელი გამოვლინდება ჩემპიონატის დასასრულისათვის.

შეცდომა უნდა გასწორდეს

შეცდომა უნდა გასწორდეს

შეცდომის ბავშვთა სპორტულ სკოლასთან მრავალი წლის მანძილზე არსებობდა ქაღალის შეშენილი ლეი ორი ჭკუფი, სადაც თავისი სპარტაკო ნათლობა მიუღიოთ ოსტატ ნ. გაფრინდაშვილს, ოსტატობის კანდიდატ თ. კვიციანს, პირველ თანრიგოსანებს მ. დემურაისს, რ. კვიციანს, ა. ფარცვაძის და კიდევ ბევრ თანრიგოსან მოქალაქეს. მაგრამ მიმდინარე წლის სექტემბრიდან ჭკუფები რატომღაც დაიჭურა. ჩვენ არ ვიცით ვისი შიშით თუ ვიღაც დასაქმებულს სსრ განათლების სამინისტროს ფინანსების ინსპექციისა თუ ზუგდიდის სპორტის შესვეურთა ინსტიტუტით. ყოველ შემთხვევაში, ორი სპარტაკო ჭკუფის ნაცვლად სპორტსკოლაში გაიხსნა ტანვარჯიშის რიგითი მე-6 ჭკუფი და მძლეობის ნომის მე-4 ჭკუფი. ჩვენ ტანვარჯიშისა და მძლეობის განვითარების წინააღმდეგ როდის გამოვლდა ვართ, მაგრამ რატომ უნდა მიხედეს იგი ქაღალის ხარჯზე?

6. ახსენებთ

მოგვყავს დანარჩენი ტექნიკური შედეგები: კაეები — გუნდური რბოლა—1, გროზნოს გუნდი — 5:08,2. სპირტი — 1. ი. ისმაილოვი (თბილისი), გამოდევნებით რბოლა 4 კმ გ. გვეორჯოვი (თბილისი). 4. წრიანი რბოლა გამოვარდით — 1. თბილისის I გუნდი.

სე წავგებოვ ქაღალის შესწავლის საშუალება. მოსწავლეები: ბ. ბაძაშვილი, ბ. ხუბულაშვილი, ს. ბერუაშვილი, ი. ჩიქოვანი.

თბილისის ველოტრეკზე ჩატარდა სამი ჭაღალის — გროზნოს, ერევანისა და თბილისის ველოსპორტისტთა ამხანაგური ორდღიანი სამატჩო შეჯიბრება, რომელიც საინტერესო სპორტული ბრძოლით აღინიშნა. საინტერესო იყო იგი იმიტომ, რომ როგორც ველოსპორტის მოყვარულებს, ისე თვით სპორტსმენებს ხანუალებად მიეცათ ვასც-ლეობდნენ საკუთარ „ნაჭუჭს“. შეჯიბრებამ წარმატებებთან ერთად გამოავლინა ნაკლოვანი მხარეებიც, რომლებსაც ჩვენმა შერჩეულებმა გადამწვეტ ბრძოლა უნდა გამოუტყდნენ. ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ ვე-




ლოსპორტის პოპულარიზაციის შეხებაზე, იმაზე, რომ სპორტს ამ საინტერესო სახეობაში უნდა ჩავაბათო რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდობა. სად უნდა გაიხსნას ველოსპორტი მათ, სად უნდა შეიყვარონ ახალგაზრდობა იგი თუ არა შეჯიბრებებზე. ამ მხრივ უდაოდ მისასალმებელია გროზნოსა და ერევანის სპორტსმენთა მოწვევა ჩვენს დედაქალაქში. სულ ცოტახანში თბილისში ჩამოვლენ ჩვენი ქვეყნის უძლეველი ველოსპორტისტები, მოსკოვისა და ტულის წარმომადგენლები. ეს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო პოპულარულს გახდის თბილისის ველოტრეკს.

მაგრამ სპორტის განვითარებაზე მის მასობრიობაზე ლაპარაკი ზედმეტი, თუ ნორმ მოყვარულებს შეჯიბრებებზე დასასწრებლად ბარიერებს აღვუშენებთ. სწორედ ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნით სამატჩო შეჯიბრებებზე შესასვლელი ბილეთების გაყიდვა. თბილისში ახლახან დამთავრებულ მძლეობათა საკავშირო პირველობაზე მსაჯურებელთა დასწრება უფასო იყო. ნუთუ არ შეიძლება ასევე უფასო ყოფილიყო მსაჯურებელთა დასწრება ველოტრეკზე. ნუთუ ველოსტადიონის საღაროში შემოსულ 20-30 მანეთს ასეთი გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა?

ახლა თვით შეჯიბრებებზე. ორდღიანი ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა თბილისის I კოლექტივმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ გროზნოს, ხოლო მესამეზე — ერევანის წარმომადგენლები. წარმატებით ჩატარა თავისი გამოსვლები ნიჭიერმა ველოსპორტისტმა ქალმა, თბილისელმა ვ. შახარინიანმა. შინ პირველი ადგილი დაიკავა სპირტში და ა. კარპენკოსთან წყვილში გაიძარცვა ორ კილომეტრზე გუნდური რბოლაში. ვ. შახარინიანმა სცადა 2 კილომეტრზე რბოლის საკავშირო რეკორდის გაუმჯობესებაც, რომელიც

სპორტის გმირები

სპორტის გმირები



სპორტის გმირები: რბოლის მომენტო (მარჯვნივ) — თბილისელი ველოსპორტისტი ვ. შახარინიანი. ფოტო ი. იუნიანისა.

იაპონელები კვლავ იმარჯვებენ

როგორც ცნობილი ვახდა, იაპონელმა ფრენბურთელებმა პარიზის სპორტულ დარბაზ „კუბერტენში“ თავისი პირველი შეხვედრები ჩაატარეს საფრანგეთის წაყრბ გუნდებთან. იაპონელმა ფრენბურთელებმა ქალებმა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში და საბჭოთა კავშირში დაუმარცხებელი ტურნეს შემდეგ ადვილად დაამარცხეს საფრანგეთის ქალთა ნაკრები გუნდი (15:1, 15:2, 15:3). ვაჟთა შეხვედრაშიც გამარჯვება იაპონელებს ხელაღწილად.

საგჭოთა ფრანგურთელევი სოფიაში

ამ დღეებში სოფიაში ჩატარდა საბჭოთა და ბულგარულ ფრენბურთელთა საერთაშორისო შეხვედრები.

რიგის სკიფისა და სოფიის „ლოკომოტივის“ ფრენბურთელ ვაჟთა შეხვედრაში ხუთი პარტია გათამაშდა. გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს — 3:2.


ორ სახეობაში

რუსთაველი მოეწყო „განთიადის“ საქალაქო საბჭოს პირველობა ფეხბურთსა და ფრენბურთში.

ფეხბურთელთა ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მეტალურგიული და ცემენტის ქარხნების ფეხბურთელები. მატჩი მოიგო მეტალურგების გუნდმა ანგარიშით 3:1.

ფრენბურთელთა გათამაშებაში მონაწილეობდა ვაჟთა 6 და ქალთა 4 გუნდი. ვაჟებს შორის გამარჯვება წილად ხვდა ახორთიანი სასუქების ქარხნის გუნდს. ქალთა შორის გამარჯვებს სამშენებლო ტრესტის ფრენბურთელებმა.

ი. ბურაულაძე



საბჭოთა კავშირში ვანაგრძობენ თავიანთ გამოსვლებს ინგლისელი მაგიდის ჩოგბურთელები პარისონი, ინგბერი და ჯეკობსონი. მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ, რომელშიც გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა ავერინმა, ინგლისელები ჩაებნენ ლენინგრადის საერთაშორისო სპორტსმენმა: ი. პარისონი და გ. ავერინი.



ფოტო ვ. ტუტოვისა.

ს ნ ა ი ვ ე რ ი

როგორც ცნობილია, განთქმული ინგლისელი ფორვარდი სტენლი მეტიუზი არასოდეს გამოირჩეოდა დიდი შედეგიანობით: არც ამაჟამად, როდესაც მეტიუზი 46 წლისაა, და არც სიკაბუჯის წლებში. „ბლეკპულელი“ ქაღალქარი მცირე გოლების ავტორი, მაგრამ შეუდარებელი „თანავტორი“ იყო. რა თქმა უნდა, უკანასკნელი წლების მანძილზე მეტიუზი ის აღარ არის, რაც იყო, მაგრამ იმდენი ძალა კიდევ დარჩა, რომ „ბლეკპულს“ პირველ ლიგაში მონაწილეობის უფლება შეუნარჩუნოს. ეს გასულ სეზონზეც ითქმის, როდესაც ხანგრძლივი ავადმყოფობის შემ-

დეგ კვლავ მწუხარში ჩამდგარა მეტიუზმა პირდაპირ „გამოათრია“ თავისი გუნდი სახიფათო ზონიდან. როგორც ინგლისელი სპორტული მიმომხილველები წერენ, თავისი უკანასკნელი ბურთი სტენლი მეტიუზმა 1956-57 წლის სეზონში გაიტანა. ამის შემდეგ მეტიუზმა კიდევ ერთი „რეკორდი“ დაამყარა — ოთხი წლის მანძილზე არც ერთხელ არ შეურხევია მეტიუზის კარის ბადე. ეს ბევრმა „დასასრულის დასაწყისად“ მიიჩნია. მაგრამ „ბლეკპულელი“ ქაღალქარი არც კი ფიქ-

რობს თავი დაანებოს ფეხბურთს. მთელი ზაფხული მან კანადაში გაატარა, სადაც „ტორონტო-სატში“ თამაშობდა და გამაღიერებულ წვრთნას გადიოდა ინგლისის მორიგი ჩემპიონატის წინ. ინგლისის პირველობის დასაწყისში მეტიუზს „ბლეკპულის“ შემადგენლობაში არ უთამაშია ტრავმის გამო. „ბლეკპული“ გათამაშების ცხრილის ბოლოში აღმოჩნდა. მაგრამ აი კვლავ მწუხარში ჩადგა ამ გუნდის მხსნელი მეტიუზი. ვეტერანმა, რომელსაც „ბლეკპულის“

ყველაზე უფრო ხნიერი მოთამაშეებიც კი შეილება ეკუთვნის, კვლავ „გამოათრია“ სახიფათო ზონიდან თავისი გუნდი. პირველივე მატჩი მისი მონაწილეობით ბლეკპულელებმა „ნოკაუტით“ მოიგეს „ჩელსისთან“ (4:0). მაგრამ აქ ყველაზე უფრო საყურადღებო ის იყო, რომ მეტიუზმა მოხსნა საკუთარი „უბურთობის რეკორდი“. ამჯერად 46 წლის ვეტერანი არ შემოიფარგლა „ტრადიციული“ თამაშით ფრთაზე და „ჩელსის“ კარში პირადად გაიტანა ორი ბურთი! ამგვარად, სიბერეში სტენლი მეტიუზის მრავალ ღირსებას ერთიც შეემატა — იგი „სნაიპერიც“ გახდა.

ნელა, მაგრამ დაინებოთ ისხამს ფრთებს ნანსენის სანუკავარი ოცნება — ჩრდილოეთ პოლუსი. ვიკინგი არ ჩქარობს. დაკვირვებით ამზადებს თავის ლაშქარს პოლუსისაკენ, ყოველ წვრილმანს ითვალისწინებს. ბოლის გეგმა განსახილვად ეძლევა ლონდონის გეოგრაფიულ საზოგადოებას. არქტიკის ცნობილი მკვლევარი, აღმირალი მაკლინგოი აიხაობს: „ეს ყვე-

არ გრძელდება პოლუსისაკენ და ის კუნძულთა ჯგუფია. მაგრამ ვინა მართო ამით ამოიწურება ნანსენის ექსპედიციის მეცნიერული და მორალური მნიშვნელობა? ეს იყო ერთი ყველაზე უფრო გვირული და ნაყოფიერი მოგზაურობა. როგორც კი გეოგრაფიულ აღმოჩენათა და კვლევათა ისტორიას ახსოვს. ნანსენის სახელი გაისმის ქვეყნიდან ქვეყანაში. მისი წიგნი ხელი-

მეცნიერი, დოქტორი, მკვლევარი, ელჩი, პრეზიდენტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, ერთა ლიგის ერთი უხუნესი კომისარი, მოსკოვის მშრომელთა დემუტატების საბჭოს საპატიო დეპუტატი, ნობელის პრემიის ლაურეატი, შოტლანდიის უნივერსიტეტის ლორდ-რექტორი, კაცი, რომელსაც საქმეო ტახტი შესთავაზეს, — მოკლედ რომ ვთქვათ, ფრთიოფ ნანსენი ზის თავის იფანზე და ტყებზე გაზაფხულის დილით, 1930 წლის 13 მაისი. რა შესანიშნავი აჰინდი დადგა! როგორ აყვავებული ბალი და რა მშვენიერია სიცოცხლე! დღეს იმეშავე, თავისი არ-

აწერს მიხეილ კალინინი. ის ხომ პირველი უცხოელია, რომელმაც ასეთი სიგული მიიღო! მოხუცი დიმილით იგონებს რუსეთს, სომხეთს, თბილისს, მოკრძალებით დასცქერის გაყვითლებულ ქაღალდს: იგონებს თავის განვლულ დღეებს და თვალი შეუქმნევლად სველდება. შემდეგ გაჩუმდა, თავი ძირს დაუკარადა, მოეშვა, რძლის ხელბუზე მიქვენა. და მიიკვლა, უცვლადი კაცი რომელიც ყინულეთს შეება, რათა დაეჩქარებინა კაცობრიობის გაზაფხული. ასე წელი გავიდა ნანსენის დაბადებიდან. სიმე ათეული წელია აღარ სუნთქავს ევროპის სინდისი — ნანსენი. მაგრამ ის ცოცხლობს და იტუცებებს მარად, რადგან სინდისს ხომ სიკვდილი არ უწერია!

ბ. ზელოვანი

რედაქტორი ი. უზულაძე.

საქართველო

ეს ბრძოლა დამთავრდა აღამინათა გამარჯვებით. მრავალტანჯულ მოგზაურებს, თითქმის სამთიანი გადასვლით ქანცაფყვეტლებს, გულუბრყვილო ესკიმოსები აღტაცებით ხედებთან.

გვიან, ნანსენმა დაწერა წიგნი, რომელშიაც ესკიმოსებს უწოდებს „ყველაზე უფრო წესიერ აღამინებს დაღამიწის ზურგზე“ და აღმოფრთხილებულია ევროპელთა ქცევით, ფეხქვეშ თელავნო ამ საბრალო ხალხს, რომელიც იქ ცხოვრობს, სადაც სხვამ არავინ ისურვა დასახლება.

მთელი წელი დაყო ნანსენმა თავის პირველ დიდ მოგზაურობაში. შინ დაბრუნებულ ოცდარვა წლის ჰაბუტს ისე ხედებთან, როგორც გამარჯვებულ სარდალს. მართლაც, მან ხომ გაიმარჯვა ყველა არმაზე ძლიერ მოწინააღმდეგეზე — ბუნების ძალებზე! გაიმარჯვა, როგორც სარდალმა, მეცნიერმა, ეროვნულმა გმირმა. მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მოხლეკადა წერილები, დიპლომები, წოდებები, დებუებები. ინგლისმა შეუთვარა ჰაბუტს მისი უმაღლესი ჯილდო, მედალი „ვიქტორია“.

დასასრული, დასაწყისი. იხ. „ლელო“ № 163.

ლაზე უფრო კანდიერი გეგმა, როგორც კი ოდესმე სამეფო საზოგადოებისათვის წარუდგენიათ.

და ნანსენს თავისი გაქვს. ყველაფერი გათვალისწინებულია. გემის კორპუსს სოლის ფორმა აქვს და ყინულები რომ მიიფეხებინ, მალა აიწვეს. სამაგად მოქედლი კედლების სისქე მეტრამდეა. გემის სახელია „ფრაიმ“ (წინ).

დიდხანს მიჰყვება „ფრაიმ“ მოღრეიფე ყინულებს, 84 გრადუსზე ცოტა ჩრდილოეთით ნანსენი და იოჰანსენი ტოვებენ „ფრაიმს“ და ფეხით ვარაუდობენ დარჩენილი მანძილის გავლას. მაგრამ ეს აღემატა აღამინის შესაძლებლობას. რაც მათში ამ ორმა მოგზაურმა ვაკირვევა ნახა, ალბათ დაჩრდილავდა ყოველივე იმას, რაც ადრე რომელიმე სხვა პოლარელს განუცლია.

ჩამოძინილი, ნახევრად დაღუპული და გავლურებული მოგზაურები ბედნიერი შემთხვევით ხელბიან ინგლისელთა ექსპედიციას და მოგზაურობის დაწყებდან მესამე წელს უკვე ნორვეგიაში არიან. სასწაულს ჰგავდა ეს გადარჩენა. სამშობლოში გმირებს ხედებთან ტრიუმფით. დიდი იყო ამ მოგზაურობის მნიშვნელობა. ნანსენმა დაამტკიცა თავისივე ვარაუდი: რომ ფრანც იოსების მიწა

დან ხელში გადაღის. ამა რა გასაკვირია, რომ სამშობლო თავის პირველ შეილს სთავაზობს უმაღლეს პატივს—მეფის გვირგვინს? დიან, ნამდვილ გვირგვინს. ნორვეგია მეფეს ირჩევდა და არჩევანი ნანსენზე შეჩერდა. ნანსენი ილიმება. არა, მეფის გვირგვინი მას არ უნდა. შორსაა, მისი სამეფო. ის ემსახურება მეცნიერებას და კაცობრიობას.

1921 წელია. ომგადახდილ რუსეთს თავს ატყდება ახალი განსაცდელი: ვოლგისპირეთში გეალვამ მოსავალი წაანდინა, დამინებს შიმშილი ელის. გორკის მოწოდება: „დაეხმარეთ რუსეთს“, პირველი ნანსენი გამოეხმარა. „რუსეთს დაეხმარეთო? — უცვირთ უცხოეთში ბურკუებს. — მეტე, რუსეთში ხომ კომუნისტები ბატონობენ?“ ნანსენი მათ პირში ახლის სიმართლეს. სამოცი წლის სწავლული ჰაბუტის ენერგიით დაჰქრის ლონდონსა და ენეგას შორის, ერთა ლიგის ტრიბუნას არყვეს მისი მგზნებარე სიტყვა: „დაუხმარეთ რუსეთს!“

მანც ნანსენი ბევრად უფრო ბედნიერია, ვიდრე მაკელანი, კოლუმბი, კუტი და ამუნდსენი მუღღროდ და მშვიდობიანად ცხოვრობს თავის სახლში, საყოველთაო პატივისცემით გარემოცული. მხეცვანი

ბევრი გადაათვალიერა, ახლაც უჭირავს ერთი ძვირფასი დოკუმენტი, სრულიად რუსეთის საბჭოების მეცხრე ყრილობის საპატიო სიგელი, რომელსაც ხელს

დეკლარაცია

მელაონსოვა — კროსი: სანაპიროს, ვაის, ხორცკომბინატისა და კინო „საქართველოს“ რაიონში. დასაწყისი 11 საათზე.
ბანპარჯიში — საქართველოს 1961 წლის პირად-გუნდური პირველობა. ვ. ი. ლენინის სახ. დარბაზი.
ფეხბურთი — „განთიადის“ თასის გათამაშება თბილისის სტადიონებზე. დასაწყისი 17 საათზე. მოზარდთა გუნდების საქალაქო პირველობა. დასაწყისი 15 საათზე. „ლოკომოტივი“ (თბილისი)—„პიშჩევიკი“ (ტირასპოლი), „ბურევესტნიკის“ სტადიონი. დასაწყისი 15 საათზე.
სასტანდო სროლა — ლიტვა-საქართველო, მონაკაშორის სტენდი. დასაწყისი 10 საათზე.

ს ვ ე ლ

ფრანგურთი — თბილისის პირველობა I გუნდის გუნდებისათვის (II ტური). „განთიადის“ მოედანი. დასაწყისი 15 საათზე.
ბალაბაზრითი — თბილისის პირველობა ძირეულ კოლექტივებს შორის კიროვის სახ. პარკი. დასაწყისი 17 საათზე.
სხენოსნობა — საქართველოს 1961 წლის პირველობა (კლასიკური სახეობა) დელისის იპოდრომი. დასაწყისი 11 საათზე.
მაგიდის ჩოგბურთი — საქართველოს 1961 წლის პირად-გუნდური პირველობა. ლენინის სახ. დარბაზი. დასაწყისი 10 და 18 საათზე.